

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დალი კვარაცხელია

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კომისიის(კომისიების) დასახელება-საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- წალენჯიხის N68 საარჩევნო ოლქი, პროპორციული.

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 24

კომისიის სხდომებზე დასწრება -20

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 10

ფრაქციის სხდომებზე დასწრება -10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;

-კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.;

-„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის

შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამი დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

5.ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 11 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 190;

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარე განათებისა და სანიაღვრე არხების მონტაჟი, დასუფთავების უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა, სტატუსის აღდგენა/მინიჭება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფა, თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა და თანამონაწილეობა, დასაქმება, გაზიფიცირება და სხვა...

შევსების თარიღი- 12.11.2020 წ.

წარდგენის თარიღი _12.11.2020 წ.

ხელისმოწერა —

